სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.250.020.35.122.000.192

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2010 წლის 28 ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „არქიტექტურულ-საამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება (თან ერთვის).
2. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 მაისის №83 დადგენილება.
3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიას (ჯ. შუღლაძე).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. №31) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზ.მეტრეველი

შეტანილი ცვლილებები:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №44 – სსმV, №36, 11.10.2010წ., მუხ.1044

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის

არქიტექტურულ-მშენებლობით პროცესს, ადგენს ტერიტორიულ სივრცითი პოლიტიკის რეალიზაციისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არქიტექტურულ-საამშენებლო სტრატეგიის შემცველობის მქონე დოკუმენტაციას და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად; უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობას, დასუფთავებას და კომუნალურ მომსახურებას; მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებას; შიდამუნიციპალური სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების რეგულირებასა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობას; შეიმუშავებს ადგილობრივი მოსაკრებლების დაწესების წინადადებებს, ორგანიზაციას უწევს მათ გაწერასა და ამოღებას.

2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი საქართველოს საკანონმდებლო აქტები, გამგეობის დებულება და ეს დებულება.

3. სამსახურს აქვს ბლანკი, ბეჭედი და შტამპი.

4. სამსახურის საქმიანობის და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

5. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) წინადადებების მომზადება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა-გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის თაობაზე; თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა; თვითმმართველი ერთეულის სივრცითი მოწყობის პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის წინადადებათა შემუშავება, კანონით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავება; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების პროექტების მომზადება, განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენა; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის უფლებრივი ზონირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების პროექტების მომზადება; დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება; დამტკიცებული პროგრამების განხორციელების კოორდინაცია; მშენებლობაზე ნებართვების გაცემის კოორდინირება, მშენებლობის პროექტის შეთანხმების კოორდინირება; მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადება; საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების კოორდინირება; სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დამთავრებამდე; ურბანული ტერიტორიების გარე იერსახეზე ზრუნვა და კონტროლი; გარე ვაჭრობის რეგულირება, გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებაზე წინადადებების შემუშავება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შენობებისა და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების შეთანხმება;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების პროექტების მომზადება; დასახლებებში კომუნალური დარგის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და მათ განხორციელებაზე მუნიციპალური დაკვეთის განსაზღვრა, დასახლებებში გარე განათების და სანიაღვრე ქსელების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დასახლებებში სახლების ნუმერაცია; ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების, პარკების, სკვერების, ბულვარების, წყალსატევების, გამწვანების ზონების მოწყობის; მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზება;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, ორგანიზება-მართვა, ტრანსპორტის სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების, პროგრამის პროექტების მომზადება, კოორდინაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის ნებართვების გაცემის პროცედურების კოორდინირება; გზების, ტროტუარების, ხიდების, გვირაბების, მდინარეთა ჯებირების და სხვა საინჟინრო ნაგებობათა შეკეთებისა და ექსპლუატაციის უზრუნველყოფაზე წინადადებების მომზადება; საგზაო ნიშნების, გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოწესრიგება;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელებისა და შესაბამისი ადგილობრივი შესყიდვების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადების უზრუნველყოფა.

მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილებანი

ა) დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების განსახორციელებლად მოიზიდოს ინვესტიციები და ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ბ) განიხილოს და შეითანხმოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, გარე ფორმების ელემენტების (მათ შორის, მონუმენტურ-დეკორატიული), მცირე არქიტექტურული ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, ტრანსპორტზე განთავსებული რეკლამის, გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განთავსების საკითხები;

გ) მოამზადოს დასახლებათა იერსახის გაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინვესტიციო წინადადებები;

დ) მოახდინოს მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი ობიექტების ინსპექტირება;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდეს საზედამხედველო ობიექტებში კონტროლის მიზნით;

ვ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

ზ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

თ) დააწესოს კონტროლი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესების დარღვევაზე შესაბამისი სანქციების განხორციელებით;

ი) დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტების ტერიტორიის აუღდგენლად მიტოვებაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გატარება;

კ) დააწესოს კონტროლი ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის ან/და იერსახის თვითნებურ შეცვლაზე;

ლ) მიწის დაცვისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე ზედამხედველობა, კანონმდებლობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების გატარება;

მ) გარემოს დაცვითი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესების კონტროლი;

ნ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზაცია და კონტროლი;

ო) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები;

პ) სამსახურს უფლება აქვს გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში;

ჟ) სამსახურს კომპეტენციის ფარგლებში, რიგ სამართალდარღვევებზე უფლება აქვს შეადგინოს ოქმები და გამოსცეს კანონმდებლობის ფარგლებში სხვა აქტები;

რ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №44 – სსმV, №36, 11.10.2010წ., მუხ.1044

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და ახორციელებს შესაბამისი სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) პასუხს აგებს გამგეობის სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, შეიმუშავებს და გამგებელს წარუდგენს სამსახურის მოსამსახურეთა ფუნქციონალურ განაწილებას და სამუშაო გეგმას;

დ) განსაზღვრავს სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს; გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მოსამსახურეთა მორიგი და დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ე) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;

ვ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

ზ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

თ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

ი) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

კ) (ამოღებულია - 23.09.10, №44);

ლ) უქმნის მოსამსახურეებს მათი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის, საიდუმლოების რეჟიმის, შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისათვის აუცილებელ პირობებს;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №44 – სსმV, №36, 11.10.2010წ., მუხ.1044

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

სამსახურის რეორგანიზაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.